



თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

დეტალური სფერო : დენტალური მედიცინა

სწავლის სფერო: სტომატოლოგია

პროფესორი- 6 საშტატო ერთეული

ასოცირებული პროფესორი- 17 საშტატო ერთეული

ასისტენტ პროფესორი -2 საშტატო ერთეული

ასისტენტი -1 საშტატო ერთეული

ინფორმაცია კონკურსში მონაწილე კანდიდატებისთვის

- ❖ **პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 5 წლის ვადით.
 - ✓ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 წელი კლინიკური გამოცდილება და შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად
- ❖ **ასოცირებული პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. იგი თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით. დამატებითი მოთხოვნები:
 - ✓ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 წელი კლინიკური გამოცდილება და შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად
- ❖ **ასისტენტ-პროფესორის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც თანამდებობაზე აირჩევა 3 წლის ვადით. დამატებითი მოთხოვნები:
 - ✓ კონკურსანტს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 წელი კლინიკური გამოცდილება და შესაბამისი სპეციალობის სერტიფიკატი;
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად
- ❖ **ასისტენტის** თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი .
 - ✓ ინგლისური ენის ცოდნა სავალდებულოა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად
- ❖ უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიურ თანამდებობაზე აირჩიოს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალი. ამ შემთხვევაში პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

- ✓ [განცხადება რექტორის სახელზე](#);
 - ✓ რეზიუმე (CV) - დადასტურებული ხელმოწერით;
 - ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
 - ✓ კვალიფიკაციისა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები;
 - ✓ სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (ბოლო 10 წლის განმავლობაში, წლების მითითებით) და დამადასტურებელი ინფორმაცია ელექტრონული სახით;
 - ✓ შესაბამის სფეროში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი ინფორმაცია (თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
 - ✓ სადისერტაციო თემის შესახებ ინფორმაცია (თემის სათაური, მიმართულება, დარგი - თუ არ არის მითითებული რეზიუმეში);
 - ✓ არჩეული სასწავლო კურსის სილაბუსი;
- ❖ საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2021 წლის 14 მაისიდან 25 მაისის ჩათვლით. შემდეგ ელექტრონულ მისამართზე vacancy@openuni.edu.ge სათაურის ველში მიუთითეთ „**კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად**“.
- განაცხადი ასევე მიიღება: თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ.#2 , მე-3 სართული, ოთახი #301 (კანცელარია) .
- ❖ კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:
- 1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა/შესწავლა
 - 2) გასაუბრება (საჭიროების შემთხვევაში)
- ❖ გასაუბრება ჩატარდება 2021 წლის 31 მაისს და 1 ივნისს.
- ❖ საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2021 წლის 2 ივნისს.